ოქმი №3

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 21 თებერვალი

ოქმი №3

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2022 წლის 21 თებერვალი

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა გ.ხოშტარია.
სხდომას ესწრებოდნენ:
ბიუროს წევრები: ზ.მაკალათია, დ.გუნია, დ.ცანავა, გ.მიგინეიშვილი, ტ. ხოშტარია, კ. კუჭუხიძე და რ. კაჭარავა.
საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საკრებულოს აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1.აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ

მომხს: ტ.ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის,ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანი;ლი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ტ.ხოშტარია

3. აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ. ხოშტარია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ.ხოშტარია

5.აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი”-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ.ხოშტარია

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ტ.ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს წევრი ტატო ედიშერაშვილი გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში.მის მიერ შემოტანილია განცხადება საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრად გახდომის შესახებ. ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება-კომისია ტატიანა ხოშტარიას, ზაზა ალასანიას, დარეჯან ვადაჭკორიას, როინ კაჭარავას და ტატო ედიშერაშვილის შემადგენლობით.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ.

მომხს: ტ.ხოშტარია

მომხსენებელმა ტ. ხოშტარიამ ბიუროს წევრებს აცნობა, რომ საკრებულოს წევრი ბაჩუკი ქვილითაია გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში. მის მიერ შემოტანილია განცხადება საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის წევრად გახდომის შესახებ. ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

ბიურომ ცნობად მიიღო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართის კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება-კომისია გია კუციას, როინ კაჭარავას, მურთაზ ჯალაღონიას და ბაჩუკი ქვილითაიას შემადგენლობით.

3

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ.ხოშტარია

მომხსენებელმა გ.ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტი.

აზრი გამოთქვა: გ.მიგინეიშვილმა.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ დადგენილების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიამ (გ.მიგინეიშვილი).
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

4

მოისმინეს:
აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ. ხოშტარია

მომხსენებელმა გ.ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი.
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:
საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის წესით, იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ (გ.კუცია).
რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

5

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი”-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს: გ.ხოშტარია

მომხსენებელმა გ.ხოშტარიამ ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი”-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების პროექტი.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, სს ,,სილქნეტი”-ზე გადაცემის თაობაზე, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ, განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ (გ.კუცია)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: გ. ხოშტარია